

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №22

ქ. თბილისი

18.09.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

ნინო მოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ლალი ღოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ნინო გოგორიშვილი - შპს - მომავლის სკოლის დირექტორი;

2. იზა დიაკვნიშვილი - შპს - მრავალდარგოვან საზოგადოებრივ კოლეჯ მედიკ - ფორტეს დირექტორი;

3. მარინა ქავთარაძე - შპს - სკოლა-ლიცეუმ „გრადის“ დირექტორი;

4. ცირა ქასრაძე - შპს - მომავლის სკოლის დირექტორი;

5. ჟუჟუნა მუმლაძე - შპს - ხიხანის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დირექტორი;

6. მაია დუდაური - შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ის“ სასწავლო ნაწილის გამგე;

7. ნატო ზარნაძე - შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ის“ პროფესიული განყოფილების უფროსი;

8. ხატია გოგლიძე - ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელი;

9. ნინო ჩუბინიძე - ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელი;
10. ლაშა შარაშენიძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ აღმაშენებლის დირექტორის თანაშემწე;
11. ზვიად არძენაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ აღმაშენებლის იურისტი;
12. ვახტანგ ჭანია - შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის სამსახურის უფროსი;
13. ვლადიმერ ჭანია - შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
14. კახაბერ კორძაია - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი;
15. მარინა გედევანიშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
16. ჯონი აფაქიძე - ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
17. შოთა ახალია - ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი;
18. რომეო გალდავა - ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
19. მზია ნარიმანიძე - შპს - პედაგოგის დირექტორი;

ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
 იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ლიანა კობესაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნანა ბარნაბიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ელენე გვენცაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
 მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:43 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - მრავალდარგოვან საზოგადოებრივ კოლეჯ მედიკ - ფორტესათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - სკოლა-ლიცეუმ „გრაალის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ხიხანის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ აღმაშენებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს - პედაგოგის წერილი, რომელიც ითხოვდა ავტორიზაციის გაუქმებას და საკითხის დღის წესრიგში დამატებას. საბჭოზე დამსწრე შპს - პედაგოგის დირექტორმა, მზია ნარიმანიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად წერილობითი განაცხადისა, მას აღარ სურდა საკითხის საბჭოზე განხილვა და ითხოვა დამატებითი დრო, საბოლოო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. საბჭომ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენლის თხოვნა და დღის წესრიგი უცვლელი დატოვა.

1. შპს - მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, რომ აღნიშნული დადასტურდა მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური კორესპონდენციითაც.

საბჭომ განიხილა შპს - მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს - მრავალდარგოვან საზოგადოებრივ კოლეჯ მედიკ - ფორტესათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

დაწესებულებას ქ. ზესტაფონში, ჭანტურიას ქ. №2-ში სასწავლო მიზნებისათვის სააქციო საზოგადოება „გრაციასაგან“ 12 წლიანი იჯარის ხელშეკრულებით აღებული აქვს 4 - სართულიანი შენობის მე-2 სართულზე არსებული ფართი. საერთო ფართი - 309,5 კვ.მ.

კიბეებზე განთავსებულია პანდუსები. დაწესებულების კუთვნილი ფართი არის კეთილმოწყობილი, გარემონტებული. ყველა ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. აღნიშნულ ფართში განთავსებულია 5 სასწავლო აუდიტორია (მათ შორის, 1 კომპიუტერული კლასი, 1 მასაჟის კაბინეტი – მასაჟის მაგიდით, სულ: 138,3 კვ.მ.).

სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია დაფებით, პლაკატებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით. სასწავლო ფართში განთავსებულია სულ: 40 ორადგილიანი მერხი და 80 შესაბამისი სკამი, მათ შორის 3 მერხი შესაბამისი სკამებით – კომპიუტერულ კლასში. დაწესებულება უზრუნველყოფილია ინტერნეტით, შიდა ქსელით, დაცვის სისტემით.

კოლეჯის ფართში განთავსებულია ექიმის კაბინეტი – შესაბამისი ინვენტარით, სათანადოდ მოწყობილი 2 სველი წერტილი. არის მუდმივი წყალმომარაგება, უწყვეტი ელექტროენერგიის მიწოდების საშუალება, არსებობს გათბობის საშუალებები (5 ელექტროღუმელი).

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 188 ბეჭდურ ერთეულს და შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სტუდენტთა სარგებლობისთვის გამოყოფილია 1 კომპიუტერი.

ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია კომპიუტერით, პრინტერითა და სკანერით. ქ. ზესტაფონში დაწესებულების საკუთრებაშია სულ 5 კომპიუტერი.

დაწესებულებას პროფესიული პროგრამების ქ. ზესტაფონში განხორციელებისა და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლის ხელშეწყობის მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი პროფილის დაწესებულებებთან.

შესაბამისად, დაწესებულების არსებულ ფართში (ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქუჩა №2), არსებობს სულ 83 პროფესიული სტუდენტის განთავსებისა და მათთვის სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობა.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

კოლეჯის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფართში (ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქუჩა №2) გეგმავს მეორე და მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამების (ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის, კომპიუტერული გრაფიკოსის მეორე საფეხურისა და მასაჟისტის მესამე საფეხურის) განხორციელებას. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი წარმოდგენილია შემდეგი სახით: სულ 20 ადამიანი, მათ შორის, უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე 12 ექიმი (თითოეული მათგანი ფლობს კვალიფიკაციის დამადასტურებელ შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს), სათანადო გადამზადების მქონე 2 ექთანი, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის 2 მასწავლებელი, ქართული და ინგლისური ენების 2 მასწავლებელი, 1 ბიოლოგი, 1 ეკონომისტი.

პროფესიული პროგრამების ადგილზე განხორციელებას მოემსახურება დეკანი (ექიმი), ბიბლიოთეკარი, დამლაგებელი და ტექნიკური პერსონალი. ყველა მათგანთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები კანონმდებლობისა და დაწესებულებაში მოქმედი წესის შესაბამისად.

დავით კახიაშვილმა დააზუსტა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას პროფესიული სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შპს - მრავალდარგოვან საზოგადოებრივ კოლეჯ მედიკ - ფორტეს სურდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება ქ. ზესტაფონშიც, შესაბამისად, სტანდარტების შესაბამისად, კეთილმოაწყვეს ფართი აღნიშნულ ქალაქშიც.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 83-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - მრავალდარგოვან საზოგადოებრივ კოლეჯ მედიკ - ფორტეს, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, ქ. ზესტაფონში შეეძლო 83 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - მრავალდარგოვან საზოგადოებრივ კოლეჯ მედიკ - ფორტესათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალდარგოვან საზოგადოებრივ კოლეჯ მედიკ - ფორტესათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - მრავალდარგოვან საზოგადოებრივ კოლეჯ მედიკ-ფორტეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 412671461) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 182-ით.

3. შპს - სკოლა - ლიცეუმ „გრაალის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცდა ავტორიზაციის ვიზიტის დროს დირექტორის მიერ (06.09.2012). სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საათობრივი ბადე, სადაც მითითებულია სავალდებულო და არჩევითი საგნები საათობრივი გადანაწილებით. ბადისა და გაკვეთილების სავარაუდო ცხრილის შემუშავება მოხდა უშუალოდ ვიზიტის დროს. ცხრილი მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს და აზუსტებს კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში, რომელი საგანი ისწავლება. ზემოაღნიშნული ჩამონათვალის გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა იყოს:

- სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად;
- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ჩარჩო) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

შესაბამისად, დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 11. N6.

1.2 შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ ტარდება რამდენიმე ტიპის გამოცდა. ესენია: სემესტრული, წლიური, საშემოდგომო, ექსტერნატის. გაუგებარია სემესტრული გამოცდის ჩატარების წესი, მიზანი და პრინციპი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: „სემესტრული გამოცდა ინიშნება იმის გამო, რომ შევაფასოთ მოსწავლეების დონე, თუ როგორ აითვისეს განვლილი მასალა. გამოცდები ინიშნება სწავლების ბოლო კვირას გაკვეთილების შემდეგ და ნიშანი ფორმდება, როგორც მიმდინარე ნიშანი. იხილება ორი შემთხვევა:

1) როდესაც მოსწავლე, რომელსაც სემესტრის განმავლობაში საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების $\frac{1}{4}$ და მეტის გაცდენის გამო დააკლდა სემესტრული ნიშნის 20% და ამ ნიშნის გამოსწორება სურს;

2) როდესაც მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ასეთი მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ნიშანი ემატება სემესტრულ ნიშანს და ჯამი იყოფა ორზე.“აქედან გამომდინარე, რთული გასარკვევია, სავალდებულოა თუ არა ამ გამოცდის ჩატარება სხვა მოსწავლეებისთვის სემესტრის ბოლოს (ვისაც არ აქვს გაცდენები ან/და ვისაც არ აქვს პრეტენზია სემესტრულ ნიშანზე). თუ სავალდებულო არ არის, მაშინ როგორ სრულდება ზემოაღნიშნული პირველი აბზაცის პირობა. თან გაუგებარია

ნიშნის გამოყვანის წესი (პირველი და ბოლო აბზაცი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის). დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლი.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში მუშაობს ორი კათედრა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ტექნიკურ მეცნიერებათა. სკოლამ წარმოადგინა პროგრამები და თემატური გეგმები, რომლითაც აპირებს მუშაობას ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში. არ იყო წარმოდგენილი VII კლასის საბუნებისმეტყველო მეცნიერების და VIII კლასის ქიმიის სამუშაო გეგმები.

1.4 უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებით, დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ ისწავლება 3 უცხოური ენა: ინგლისური, რუსული და ფრანგული. ფრანგული ისწავლება მხოლოდ მე-12 კლასში, I-II სემესტრებში, საგანი სავალდებულოა, 3 საათი კვირაში. თუმცა, არც წარმოდგენილ გაკვეთილების ცხრილში და არც სასკოლო ბადეში ეს არ არის დაკონკრეტებული. წარმოდგენილი სამუშაო გეგმაც (სილაბუსი) ზოგადია: არ არის წარმოდგენილი თემებისა და საკითხების ჩამონათვალი, სახელმძღვანელო, რომელიც არც გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი არ არის. ზოგადად აღწერილია მისაღწევი შედეგები, თუმცა გაუგებარია როგორ ხდება ამ შედეგებზე გასვლა.

1.5 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლას არჩეული აქვს 3 არჩევითი საგანი: სახელმწიფო და სამართალი, ხელოვნების ისტორია და შესავალი თანამედროვე ფიზიკაში. წარმოდგენილია ამ საგნების თემატური გეგმები (სილაბუსები). ხელოვნების ისტორია ისწავლება - XI კლასში ; სახელმწიფო და სამართალი - X კლასში და შესავალი თანამედროვე ფიზიკაში - XII კლასის I სემესტრში. ეროვნული სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: „საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ საკუთარი ინტერესის მიხედვით აირჩიონ და ისწავლონ სხვადასხვა საგანი“. (მუხლი 46. არჩევითი საგნები). თუმცა, არც სასწავლო გეგმაში, არც სხვა რაიმე დოკუმენტში არ ჩანს თუ როგორ ხდება მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინება ამ საკითხში. აღსანიშნავია, რომ არჩევითი საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი არც შინაარსი და არც მისაღწევი შედეგები არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულ მიმართულებებს, სარეკომენდაციო შინაარსსა და შედეგებს (დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის თავი LXXVI მოთხოვნები).

1.6 დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ისწავლება 3 სპორტული სახეობა: ფრენბურთი, კალათბურთი და ჭადრაკი. წარმოდგენილია შესაბამისი თემატური გეგმები, თუმცა რთული დასადგენია, როგორ ხდება ამ სახეობების მონაცვლეობა, რადგანაც სკოლას არ აქვს დახურული მოედანი და დამოკიდებულია ამინდის ცვალებადობაზე.

1.7 სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის (ჩარჩო) წარმოდგენილი არ არის.

1.8 სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ხუთდონიანია (რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით), თუმცა წარმოდგენილი შეფასებიდან (5 რუბრიკიდან) 4 შეფასების რუბრიკა ოთხდონიანია, რაც არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას (მუხლი. 16). რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი კრიტერიუმები.

1.9 სკოლას არ აქვს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი „სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება“, რომელიც ვერ ჩაითვლება ამ კრიტერიუმის შესაბამის დოკუმენტად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს - სკოლა-ლიცეუმი „გრაალი“ ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისში ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის №23-ში ფლობს ორსართულიანი შენობის მხოლოდ მეორე სართულს (200 კვ.მ). მოცემული ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ქვეიჯარის ხელშეკრულება მოქმედებს 2012 წლის 5 დეკემბრამდე.

2.2 სკოლას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „210“- ის თავმჯდომარესთან 2012 წლის 20 მარტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალს უფლება აქვს სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად უსასყიდლოდ გამოიყენოს ალექსანდრე ყაზბეგის №25-ში მდებარე სპორტული მოედანი. აღნიშნული ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს კალათბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი. სკოლამ კალათბურთისა და ფრენბურთის აქტივობების ჩატარებისათვის საჭირო სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

2.3 სკოლას 2012 წლის 15 მარტს შპს - „ვერიკა-ზუ“- თან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შეძენის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ლაბორატორიების ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას 10850 ლარიდან გადახდილი ჰქონდა მხოლოდ 3000 ლარი.

შპს - „ვერიკა-ზუ“-მ შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალს გადასცა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს ყუთებში იყო მოთავსებული. სკოლის დირექტორის განმარტებით, სასწავლო ლაბორატორიის განთავსება იგეგმება მე-2 სართულზე არსებულ საკლასო ოთახში, რომლის საერთო ფართი შეადგენს - 12.15 კმ.მ.

შპს - „ვერიკა-ზუ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია იღებს ვალდებულებას სკოლას მიაწოდოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დადგენილი აღჭურვილობის მქონე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.

2.4 ბიბლიოთეკაში არის გრიფირებული სახელმძღვანელოების მხოლოდ ნაწილი, კერძოდ ბიბლიოთეკაში არ იყო: მეშვიდე, მეცხრე და მეთერთმეტე კლასის არც ერთი გრიფირებული სახელმძღვანელო, მერვე კლასის მათემატიკის, მეათე კლასის გეოგრაფიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მეთორმეტე კლასის გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის გრიფირებული სახელმძღვანელოები. ამასთან, სკოლამ ვერ წარმოადგინა ბიბლიოთეკაში არსებული ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.5 სკოლას პირველი და მეორე სართულის კიბეებზე სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული აქვს ასაკეცი პანდუსები, თუმცა შენობაში შესასვლელ კიბეზე პანდუსები არ არის დამონტაჟებული. სსსმ მოსწავლეთათვის სკოლას ადაპტირებული სველი წერტილი არა აქვს მოწყობილი.

2.6 სკოლამ დომენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა. ვებგვერდი www.graali-school.com ნაწილობრივ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებული არ არის სასკოლო სასწავლო გეგმა, საკონტაქტო ინფორმაცია.

ინტერნეტით სარგებლობის შესახებ 2010 წლის 14 მაისს გაფორმებულია ხელშეკრულება „სილქნეტთან“, რომლის მიხედვითაც, აბონენტად დაფიქსირებულია არა შპს - სკოლა-ლიცეუმი გრაალი, არამედ - ქავთარაძე მარინა.

2.7 წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დაწესებულებას შემუშავებული არა აქვს.

2.8 შენობა აღჭურვილია 3 სამეთვალყურეო კამერით. 1 კამერა დამონტაჟებული შენობის გარე პერიმეტრზე და მისი მახასიათებლები აკმაყოფილებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ტექნიკურ პარამეტრებს. აღნიშნული კამერა დაწესებულებამ შეიძინა 2012 წლის 5 სექტემბერს შპს - აი-ეს-ეი სერვისთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მოცემული ხელშეკრულების თანახმად, სკოლამ ვიდეოკამერის ღირებულება უნდა გადაიხადოს აპარატურის სრული კომპლექტაციის და გამართული ფუნქციონირების აქტის შედგენიდან 3 საბანკო დღის ვადაში. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას კამერის ღირებულება (1138 ლარი) გადახდილი არ ჰქონდა. გარე პერიმეტრის კონტროლისთვის დაწესებულებას დამატებით ესაჭიროება უსაფრთხოების კამერის შეძენა. დანარჩენი 2 კამერა აკონტროლებს კიბის უჯრედსა და სკოლის დერეფანს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მათ მაქსიმალურად გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ გამოსწორებულ დოკუმენტაციას საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებდა, რადგან ამის უფლებას მათ კანონი არ აძლევდა. მისი განცხადებით, ავტორიზაციის პროცედურა იყო ნებაყოფლობითი ქმედება, დაწესებულებამ თავად მიიჩნია, რომ აკმაყოფილებდა სტანდარტებს, შესაბამისად, საბჭოს სხდომის ეტაპისათვის უკვე გამოსწორებული დოკუმენტაცია, ექსპერტთა ვიზიტის დროს უნდა არსებულიყო დაწესებულებაში. სხდომის თავმჯდომარემ, დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს შემუშავებულ დოკუმენტაციას, მაგალითად სასკოლო სასწავლო გეგმას საბჭო ხარვეზად არ მიიჩნევს, რადგან აღნიშნული, ვიზიტისას გამოსწორდა და ექსპერტებს დოკუმენტის შესწავლის დრო ჰქონდათ.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მან იხელმძღვანელა პირველი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, თუმცა მეორე ეტაპისათვის, უკვე ახალი ხარვეზები დაფიქსირდა. მან აღნიშნა, რომ დღესაც ვერ ხედავდა ვერანაირ ხარვეზს პროგრამებში.

დავით კახნიაშვილმა დააზუსტებინა, თუ კონკრეტულად რომელ ხარვეზს არ ეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენელი.

სკოლის დირექტორმა მაგალითის სახით მოიყვანა ხარვეზი სემესტრულ სწავლებაზე და განაცხადა, რომ სკოლაში აღნიშნული გათვალისწინებული არ იყო.

ექსპერტის, ნინო ფეტვიაშვილის, განცხადებით, დასკვნაში მოყვანილი იყო ციტირება სკოლის ერთ-ერთი დოკუმენტიდან, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას დანართის სახით ახლავს.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მან შეიძინა სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი და აღნიშნული ხარეზიც გამოასწორა.

დავით კახნიაშვილმა განცხადება, რომ სახელმძღვანელოები სკოლის ბიბლიოთეკაში ექსპერტთა ვიზიტის დროს უნდა არსებულიყო.

სკოლის დირექტორმა კვლავ აღნიშნა, რომ მისთვის სახელმძღვანელო იყო პირველი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, სკოლისათვის სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო ეროვნული სასწავლო გეგმა და ავტორიზაციის დებულება.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, დაწესებულება უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ აკმაყოფილებდეს სტანდარტებს. ექსპერტი არის პირი, რომელიც აფასებს არსებული მდგომარეობის სტანდარტებთან შესაბამისობას. მისი განცხადებით, იდენტური აზროვნების ექსპერტი არ არსებობს. მხოლოდ, პირი, რომელიც ცენტრის ექსპერტის სტატუსს ატარებს, ყოველთვის შეძლებს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და შეფასებას.

საბჭომ იმსჯელა შპს - სკოლა - ლიცეუმ „გრაალის“ ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა - ლიცეუმ „გრაალის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204569751) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

4. შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 მხოლოდ მე-5 და მე-6 კლასებში რუსული ენა ისწავლება სახელმძღვანელოთი - ბაბაიცივა, ჩესნიაკოვას ავტორობით (მოსკოვის გამომცემლობა), ნაცვლად ბარსეგოვას ავტორობით (გამომცემლობა "ოცდამეერთე").

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროს - გენერატორის შესყიდვის შესახებ გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, საქონლის მიწოდება მოხდება 2012 წლის 25 ოქტომბრამდე.

2.2 ელექტროლუმების შესყიდვის შესახებ გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, საქონლის მიწოდება მოხდება 2012 წლის 25 ოქტომბრამდე.

2.3 ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა ისტ-ის 1-ლი კლასის, ქართული ენისა და ლიტერატურის 7-9 კლასის, ინგლისური ენის 7-10 კლასისა და მე-12 კლასის, რუსული ენის მე-12 კლასისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-8 კლასის სახელმძღვანელოები.

2012 წლის 22 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად, წიგნების სრულყოფილად მიწოდების ბოლო ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 15 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, დაწესებულება 25 ოქტომბრამდე სკოლას მოამარაგებს სათანადო ელექტროლუმელებით, რადგან ამ ეტაპისათვის ხელმისაწვდომი არ იყოს შესაბამის კვ.მ.-ზე გათვლილი კილოვატების პარამეტრების მქონე ელექტროლუმელები.

დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმძღვანელოების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ გაითვალისწინეს შენიშვნა და შეცვალეს რუსული ენის სახელმძღვანელო ლორთქიფანიძის სახელმძღვანელოთი მე-7 კლასიდან, ხოლო მე-5 და მე-6 კლასებში - ბარსეგოვას სახელმძღვანელოთი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 200-ით და წარმოადგენეს დამატებით 13 ინდივიდუალური მერხის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - მომავლის სკოლა მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 200 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მომავლის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 445412107) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

5. შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას შეძენილი აქვს ძირითადი საგნების ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს მინიმუმ 1 ეგზემპლარი მაინც, გარდა არჩევითი საგნების ზოგიერთი სახელმძღვანელოსი. სკოლის დირექციის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი წერილის საფუძველზე, არსებული სახელმძღვანელოები არ არის გამოცემული, ამიტომ სკოლა, ვიდრე არ გამოიცემა ახალი სახელმძღვანელოები, ისარგებლებს წინა სასწავლო წლის გრიფირებული სახელმძღვანელოებით.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, ზოგიერთი არჩევითი საგნის სახელმძღვანელო, მართლაც არ იყო გაყიდვაში გამოსული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 275-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლას მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 275 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხიხანის მრავალპროფილიან საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204955708) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 275-ით.

6. შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლამ ნიმუშად წარმოადგინა მხოლოდ ფიზიკის სილაბუსი, რომელშიც აღწერილია სასწავლო კურსის დასახელება, საფეხური, ხანგრძლივობა, მასწავლებლის საკონტაქტო ინფორმაცია, სასწავლო კურსის ზოგადი აღწერა, სასწავლო საგნის სტატუსი, მიზანი და ამოცანები, კურსის ორგანიზაცია, მეცადინეობის ფორმები, შეფასების ტიპები და ფორმები, რესურსები. სილაბუსში არაა გაწერილი თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს მოსწავლე წლის ბოლოს. არაა გაწერილი თემატური და ან კალენდარული გეგმები. დირექციის განმარტებით, საგნობრივ სილაბუსებზე და თემატურ კალენდარულ გეგმებზე მუშობა დაიწყება მას შემდეგ რაც მოხდება სახელმძღვანელოების შეძენა.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებული სახელმძღვანელოები გრიფირებულია. გამონაკლისია რუსული და ინგლისური ენების სახელმძღვანელოები.

ამასთან, სკოლამ წარმოადგინა გამომცემლობა „დიოგენე“-ს წერილი და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის მ/შ ქალბატონ ნათია ჯოხაძის წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ არჩევითი საგნების და ზოგიერთი სხვა სასკოლო სახელმძღვანელო ჯერ არაა გაყიდვაში.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლაში არ არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოები. დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით, სახელმძღვანელოები ჯერ არ გამოსულა ბაზარზე და მხოლოდ ამის გამო დროებით ვერ მოხერხდა მათი შეძენა.

დაწესებულების სურვილია ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში ასევე განახორციელოს პროფესიული პროგრამები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული იქნა 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამებიდან სამი (კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის, კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის და კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის) პროგრამა შემუშავებულია ძველი სტანდარტის მიხედვით. კერძოდ, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 27 ივნისის №473 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2010 წლის 31 დეკემბრის №171

ბრძანებით დამტკიცებული „კბილის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი“ და დამტკიცდა ახალი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, კბილის ტექნიკოსის პროფესიულ პროგრამას აქვს მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურები. რამდენადაც, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ძველი პროფესიული სტანდარტის მიხედვით შედგენილი კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამები, შესაბამისად, განსხვავებულია აღნიშნული პროგრამების კრედიტების მოცულობა და სწავლის შედეგები ამჟამად მოქმედ სტანდარტებთან მიმართებით.

დავით კახნიაშვილმა დააზუსტა, თუ რას ნიშნავდა ნიმუშად წარდგენილი სილაბუსი.

ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის, განცხადებით, წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ფიზიკის სილაბუსი, როგორც ნიმუში სილაბუსისა, სხვა სილაბუსები ექსპერტთათვის არ იქნა წარდგენილი.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, დაუშვებელი იყო მსგავსი მიდგომა. სხვა შემთხვევაში მისთვის წარმოდგენილი იყო, თუ რატომ მოეთხოვებოდა სხვა დაწესებულებებს სილაბუსები, როდესაც, თურმე შესაძლებელია სკოლას ჰქონდეს მხოლოდ სილაბუსის ნიმუში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2012 წლის 31 აგვისტოს, მაშინ როდესაც სახელმძღვანელოები არ იყო გამოცემული, შესაბამისად, დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული სილაბუსები. მათი განცხადებით, ისინი ყველა გამოცემლობას დაუკავშირდნენ, თუმცა ოპიციალური განცხადებით, მხოლოდ 3 სექტემბრიდან იქნებოდა გაყიდვაში სახელმძღვანელოები.

ანა კლდიაშვილის განცხადებით, არსებობს სტანდარტები, გაწერილია, თუ რა შედეგებზე უნდა გავიდეს მოსწავლე თითოეულ საგანში, გაწერილია შინაარსიც, თუ რისი სწავლებით მიიღწევა კონკრეტული შედეგი, შესაბამისად, სილაბუსების არ ჰქონდა სახელმძღვანელოების არ არსებობით ვერ გამართლდება. მისი განცხადებით, ავტორიზაციის ეტაპისათვის უნდა არსებულიყო დოკუმენტი, ხოლო თემატიკა რამდენად ზუსტად იყო სახელმძღვანელოს მიხედვით გაწერილი, ეს უკვე აკრედიტაციის ეტაპს წარმოადგენდა, რადგან უშუალოდ შინაარსთან ექნებოდათ შეხება.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, როდესაც დაწესებულებაში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი, დოკუმენტაცია უნდა ყოფილიყო წარდგენილი მათთან. მისი განცხადებით, შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ს“ არ ჰქონდა სილაბუსები, გარდა ერთისა და ისიც ხარვეზიანი იყო. მსგავს ვითარებასთან საბჭოს პირველად უწევდა შეხება.

პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებით, ლალი ლოღელიანმა განაცხადა, რომ როდესაც პროგრამა შედგენილი იყო ძველი სტანდარტის შესაბამისად, იქ სათქმელიც არაფერი იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ გამოსცეს ბრძანება და გააუქმეს აღნიშნული პროგრამა, შესაბამისად, საბჭოს სხდომაზე აღნიშნული აღარ უნდა იქნეს განხილული.

ლიანა კობესაშვილის განცხადებით, ვიზიტის დროს არანაირი ბრძანება არ გამოცემულა.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, მსგავსი მიდგომა დაუშვებელი იყო. დაწესებულების პროგრამა შემოწმდა, დადგინდა, რომ ხარვეზიანი იყო და ამის შემდგომ

მასზე უარის თქმა, რათა ავტორიზაციის მიღებას ხელი არ შეშლოდა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა და საბჭო ამას ვერ გაიზიარებდა.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, ცენტრში საავტორიზაციო განაცხადი უნდა წარმოედგინა დაწესებულებას, როდესაც სახელმძღვანელოებიც გამოცემული იყო და სკოლას შემუშავებული ექნებოდა ყველა დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ ავტორიზაცია ჩამოერთვათ, მხოლოდ, ჟურნალების არასწორი წარმოებისათვის და უნდოდათ, სწრაფად მოეპოვებინათ სტატუსი.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, საბჭოს არ ჰქონია პრაქტიკა, რომ მხოლოდ ჟურნალების წარმოების დარღვევისათვის გაეუქმებინათ ავტორიზაცია.

საბჭომ იმსჯელა შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ის“ ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აკადემია „ლიბერთი - პროფ-ის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი -6

გადაწყვეტილება:

20 საათსა და 41 წუთზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21 საათსა და 20 წუთზე.

7. ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულების სურვილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 280-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას შეეძლო 280 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404957089) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

8. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ აღმაშენებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებით, შეტანილ იქნა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „აღმაშენებლის“ კაპიტალში, 2012 წლის 22 აგვისტოს შპს „აუდიტ ორბის“ მიერ შედგენილი აუდიტორული დასკვნით განსაზღვრული ქონება, რომელიც წარმოადგენდა შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის საკუთრებას. საზოგადოებრივ კოლეჯ „აღმაშენებლისთვის“ ქონება გადაცემულია 2012 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის დამფუძნებელ პარტნიორთა გადაწყვეტილებით, დამფუძნებელმა პარტნიორმა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „აღმაშენებლის“ საწესდებო კაპიტალში შეიტანა წიგნები და სტომატოლოგიური კაბინეტის ინვენტარი. აღნიშნულთან დაკავშირებით, გაფორმებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარება. თუმცა კოლეჯის წესდებაში არ ასახულა საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ცვლილება. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომელიც ასახავს საწესდებო კაპიტალში განხორციელებულ ამ ცვლილებას. წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯს საერთოდ არ აქვს ჩამოყალიბებული საწესდებო კაპიტალი. კოლეჯს არ აქვს საინვენტარიზაციო წიგნი.

1.2 კოლეჯში გამოკრულია საევაკუაციო ნახაზი, რომელიც არ იყო დამტკიცებული სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის მიერ.

1.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის არ არის ადაპტირებული სველი წერტილები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, შპს-ს შესაძლებელია ჰქონოდა ან არ ჰქონოდა საწესდებო კაპიტალი. დაწესებულებას ასევე შეეძლო გაეზარდა საწესდებო კაპიტალი, რაც განხორციელდა კიდევ მოცემულ შემთხვევაში. თუმცა საწესდებო კაპიტალი არ იყო მითითებული წესდებაში, საგადასახადო ვალდებულებისაგან თავის აცილების მიზნით. ამასთან, არსებობდა მიღება-ჩაბარების აქტი და სადავო ქონება აყვანილი იყო შპს-ს ბალანსზე.

თავჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, ნინო ბეგიაშვილს, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო ბეგიაშვილმა, აღნიშნა, რომ წესდება, წარმოადგენს პარტნიორთა შეთანხმებას, რომლის საფუძველზედაც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. პარტნიორთა შეთანხმების (წესდების) ნაწილია სარეგისტრაციო განაცხადი, რომელშიც მიეთითება კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შპს-ს კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით, ხოლო რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება. თუმცა, თუ შპს-ს გააჩნია საწესდებო კაპიტალი, ის უნდა მიეთითოს წესდებაში, ასევე წესდებით უნდა იყოს მოწესრიგებული კაპიტალის გაზრდის საკითხი და იგი უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდაორგანიზაციული დოკუმენტით (წესდებით) დადგენილი წესის შესაბამისად. თუ დაწესებულება აღნიშნავს, რომ მას არ გააჩნია საწესდებო კაპიტალი, იგი შესაბამისად, ვერ განხორციელებდა საწესდებო კაპიტალის გაზრდას. ქონების ბალანსზე აყვანა, ავტომატურად არ ნიშნავს საწესდებო კაპიტალში ცვლილებას. საგადასახადო ველდებულებულების გვერდის ავლის საკითხი არ წარმოადგენს ავტორიზაციის საბჭოს განხილვის საგანს, ავტორიზაციის მიზნებისათვის, საბჭოს შეუძლია დაეყრდნოს ქონების მიღება-ჩაბარების აქტს, შპს-ს ბალანსზე ქონების აყვანის ფაქტსა და ფაქტობრივ მდგომარეობას - დაწესებულების მიერ ქონების ფაქტობრივ ფლობას; რაც შეეხება განხორციელებული ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციას, აღნიშნული საკითხი უნდა გამოიძიონ შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო იზიარებს ცენტრის წარმომადგენლის განმარტებებს. ამასთან აღნიშნა, რომ მოცემული საკითხის სამართლებრივი შეფასება ცდება ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციას.

რაც შეეხება 1.2 და 1.3 შენიშვნებს, დაწესებულებამ წარმოადგინა ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის წერილი, რომლის მიხედვითაც, მოხდა საევაკუაციო ნახაზის დამტკიცება და CD, რომელზეც განთავსებული იყო ადაპტირებული სველი წერტილების ამსახველი ფოტო-მასალა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულების სურვილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 500-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას, მისი მატერიალური რესურსის (ფართი) გათვალისწინებით, შეეძლო 331 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ადმაშენებელის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ადმაშენებელის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ადმშენებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404954796) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 331-ით.

9. შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 ინფორმაციული ტექნოლოგიის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 35 კრედიტიანია, რომლიდანაც 14 კრედიტი ეთმობა საწავლო კომპონენტს, ხოლო 21 კრედიტი - პრაქტიკას. პროგრამის ხანგრძლივობა 24 კვირაა. ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, სწავლის შედეგებში, ღირებულებების ნაწილში, მითითებულია: „გაცნობიერებული აქვს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები.“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისა და შინაარსის გათვალისწინებით შეუძლებელია აღნიშნულ შედეგზე გასვლა.

1.2 ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამა 120 კრედიტიანია. აქედან 72 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 48 კრედიტი პრაქტიკას. პროგრამის ხანგრძლივობა 80 კვირაა. ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი „ინგლისური ენა“ ორ ნაწილიანია. სასწავლო კურსი „ინგლისური ენა 2“ - ის წინაპირობაში „ინგლისური ენა 1“ შესწავლა არ არის მითითებული, ამასთან სწავლის შედეგები ორივე სილაბუსში იდენტურია.

1.3 ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი „ბოტანიკის“ მიზანია პროფესიულმა სტუდენტებმა შექმნან სათანადო ბაზა მაპროფილებელი დისციპლინის „ფარმაცოგნოზიის“ შესასწავლად, თუმცა „ფარმაცოგნოზიის“ სილაბუსს წინაპირობა არა აქვს.

1.4 ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 30 კრედიტიანია. აქედან 18 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 12 კრედიტი - სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის ხანგრძლივობა 22 კვირაა. ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიულ სტანდარტში სწავლის შედეგებში, ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში, მითითებულია შემდეგი: კურსდამთავრებულს აქვს „ბიზნესის სამართლის საფუძვლების“ ცოდნა, ხოლო ღირებულებების ნაწილში მითითებულია შემდეგი „იცნობს ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნორმებს“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისა და მათი შინაარსის გათვალისწინებით შეუძლებელია აღნიშნულ შედეგზე გასვლა.

1.5 ბუღალტრის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 30 კრედიტიანია. აქედან 18 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 12 კრედიტი - სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის ხანგრძლივობა 22 კვირაა. ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, სწავლის შედეგებში, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებულია შემდეგი: „აქვს უნარი სააღრიცხვო პროცედურების განხორციელებისას იმოქმედოს შეცვლილი ბიზნესგარემოს (სამეწარმეო, საგადასახადო და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობაში ცვლილების შეტანით გამოწვეული) ადეკვატურად.“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისა და მათი შინაარსის გათვალისწინებით შეუძლებელია აღნიშნულ შედეგზე გასვლა.

1.6 ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამა 90 კრედიტიანია. 54 ეთმობა თეორიულ სწავლებას, ხოლო 36 კრედიტი - პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 63 კვირაა. ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიულ სტანდარტში, სწავლის შედეგებში, ღირებულებების ნაწილში მითითებულია შემდეგი: „იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად,“ სამართლებრივი ნორმების შესახებ შედეგის მიღწევა შეუძლებელია საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების ან სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე.

1.7 ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიულ პროგრამაში სასწავლო კურსი „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ ორ ნაწილიანია. სასწავლო კურსი „საოფისე კომპიუტერული პროგრამები 2“ - ის წინაპირობაში „საოფისე კომპიუტერული პროგრამები 1“ შესწავლა არ არის მითითებული. ამასთან სწავლის შედეგები ორივე სილაბუსში იდენტურია.

1.8 ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 60 კრედიტიანია. აქედან 36 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 24 კრედიტი - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის ხანგრძლივობა 43 კვირაა. ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ცოდნა და გაცნობიერებაში, კურსდამთავრებულმა იცის: „ეთიკეტი და პროფესიული ეთიკა“, „საქართველოს კანონმდებლობა და პროფესიული ეთიკა“. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი არც ერთი სასწავლო კურსით და არც მათი შინაარსით ვერ ხერხდება აღნიშნულ შედეგზე გასვლა.

1.9 ტუროპერატორის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 60 კრედიტიანია. 30 კრედიტი სასწავლო კურსებს ეთმობა, ხოლო 30 - პრაქტიკას. ტუროპერატორის მე-4 საფეხურის პროფესიულ სტანდარტში, სწავლის შედეგებში, ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს აქვს „ტურიზმის მენეჯმენტის ფუძემდებლური პრინციპების საფუძვლების ცოდნა“, „საქართველოში მოქმედი ტუროპერატორი კომპანიების სტრუქტურა და პროფილი“.

1.10 ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების პროგრამებში სილაბუსებში გამოიკვეთა შემდეგი სახის ხარვეზი: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილია კვირების მიხედვით პროგრამის ხანგრძლივობა, მათ შორის: მაგალითად ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაში პროგრამის ხანგრძლივობა: 22 კვირა - ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა - I-XV კვირა; სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა - VI-XX კვირა; დასკვნითი შეფასება - XXI კვირა; განმეორებითი გამოცდა - XXII კვირა. დასკვნითი და განმეორებითი (დაწესებულება გულისხმობს დამატებით გამოცდას) შუალედი არის 1 კვირა - 7 დღე. ამ შემთხვევაში

ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N121/ნ -ის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

ამასთან სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია რომ დასკვნითი შეფასება არის მე-16- მე-17 კვირას, ხოლო განმეორებითი გამოცდა - მე-19 კვირას. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი გამოცდის (დაწესებულება გულისხმობს დამატებით გამოცდას) 1 საათი გათვალისწინებულია საკონტაქტო საათებში. ასეთი ტიპის ხარვეზები დაფიქსირდა ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში.

1.11 საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში არ არის გათვალისწინებული სწავლების წინაპირობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების მიხედვით, საწარმოო პრაქტიკა იწყება მე-5 - დან ან მე-11 კვირიდან. შესაბამისად, საწარმოო პრაქტიკის გასავლელად პროფესიულ სტუდენტს ესაჭიროება განსაზღვრული სასწავლო კურსების გავლა.

1.12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვირებსა და სილაბუსების კვირების მიხედვით, დატვირთვებს შორის არ არის თანხვედრა (მაგალითად, ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამის ხანგრძლივობა ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობა გაწერილია I-XV კვირა, დასკვნითი შეფასება - XXI კვირა, განმეორებითი გამოცდა XXII კვირა. შესაბამისად, სილაბუსებში ლექცია-პრაქტიკული გაწერილია XIX კვირაზე.)

1.13 „ინგლისური ენის“ სილაბუსის სწავლის შედეგებში მითითებულია, მხოლოდ კომუნიკაციის და სწავლის უნარი. არ არის გათვალისწინებული ცოდნა და გაცნობიერება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

1.14 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები არ შეესაბამება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს, გარდა საბაჟო წარმომადგენლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 მეიჯარის სს - თბილაბრეშუმი ”ცისარტყელას” მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე დგინდება, რომ შენობას ჰყავს დაცვის სამსახური, რომელიც 24-საათიან რეჟიმში აკონტროლებს შენობა-ნაგებობების პერიმეტრს. ამასთან, დაწესებულებას თავად არ ჰყავს დაცვის სამსახური.

საბჭოს წევრმა, ლალი ლოღელიანმა, აღნიშნა, რომ ზოგიერთ შენიშვნას იგი არ ეთანხმება. ექსპერტს დეტალურად აქვს შესწავლილი საკითხი და ჩანს მისი არაჩვეულებრივი ნამუშევარი, თუმცა ზოგიერთი შენიშვნა სათუთა. მაგალითად, ლალი ლოღელიანმა მიუთითა 1.1 შენიშვნაზე და აღნიშნა, რომ მის პრაქტიკაში არ არსებობს პროგრამა რომლის ღირებულებების განსაზღვრა შესაძლებელია. შენიშვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მართებულია. თუმცა, თავად ღირებულებების თემა მეტად სათუთი.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, 1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი აზრით, სტანდარტის მოთხოვა დაცული იქნება და პრაქტიკის გავლის დროს ხდება შესაბამისი შედეგის მიიღწევა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხარვეზი მექანიკურად გაიპარა. მან ასევე კომენტარი გააკეთა 1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში მითითებულია: კურსდამთავრებულს აქვს „ბიზნესის სამართლის საფუძვლების“ ცოდნა. რაც შეეხება

ღირებულებების ნაწილს, დაწესებულება არ თვლიდა საჭიროდ, რომ ღირებულებების ნაწილში დაფიქსირებული ფრაზები ასახულიყო საგნებში.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, განაცხადა, რომ მისი აზრით, მოცემულ შემთხვევაში ხარვეზი ცდება ავტორიზაციის სტანდარტს და მსგავს სიღრმეზე მსჯელობა უნდა მოხდეს აკრედიტაციის ნაწილში.

თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტს 1.10 შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტება. ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილია კვირების მიხედვით. მაგალითად მოყვანილია ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა - პროგრამის ხანგრძლივობა: 22 კვირა - ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა - I-XV კვირა; სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა - VI-XX კვირა; დასკვნითი შეფასება - XXI კვირა; განმეორებითი გამოცდა - XXII კვირა. დასკვნითისა და განმეორებით გამოცდებს შორის (დაწესებულება გულისხმობს დამატებით გამოცდას) შუალედი არის 1 კვირა - 7 დღე. ამ შემთხვევაში ირდევია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N121/ნ -ის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ მსგავსი დარღვევა არ იყო სახეზე, ვინაიდან დაშვებული იყო მექანიკური შეცდომა განმეორებითი გამოცდის მითითებასა და დაკონკრეტებაში.

1.11 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-5 კვირიდან საწარმოო პრაქტიკას არ სჭირდება წინაპირობა, წინაპირობა უნდა იყოს კონკრეტული ცოდნა და დაწესებულება წინაპირობად ვერ მიუთითებდა წინა ოთხი კვირის თეორულ ცოდნას.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ მისი აზრით, მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია არ ყოფილიყო მითითებული წინაპირობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება 1.13 შენიშვნას, ამასთან 1.14 შენიშვნა არ არის კონკრეტული და მოიცავს ზოგად შეფასებას.

საბჭოს წევრმა, ნინო მოწენიძემ, განაცხადა, რომ მიუხედავად ხსენებული არგუმენტაციისა ფაქტია, რომ შენიშვნები არსებობს. შესაძლებელია, შენიშვნები არ არის სერიოზული ხასიათის და ტექნიკურად იქნა დაშვებული, მაგრამ პროგრამას აკლია დამუშავება.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ იგი ეთანხმება საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის მოსაზრებებს და მეტწილად იზიარებს მათ. თუმცა, თავჯდომარემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, დადებითი გადაწყვეტილების მიღება იქნებოდა საბჭოს პრაქტიკისაგან გადახვევა. შესაბამისად, იგი ასეთი შენიშვნების პირობებში მხარს ვერ დაუჭერდა შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციას.

თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, საბჭოს მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულების სურვილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 214-ით.

სხდომის თავჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას, მისი მატერიალური რესურსის (ფართი)

გათვალისწინებით, შეეძლო 140 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400034752) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

10. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული საერთო ფართიდან 152.78 კვ.მ ფართი ექსპერტების მიერ არ იქნა ჩათვლილი სასწავლო ფართში, რადგან ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, ეს უკანასკნელი გამოყენებული იყო დროებით სათავსოდ უნივერსიტეტის შენობის ნაწილში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო. თუმცა, ეს ფართი მოწესრიგებულია სასწავლო მიზნებისთვის და დაწესებულება მასში გეგმავს სათანადო ინვენტარის განთავსებას ამა წლის 10 სექტემბრისთვის.

გარდა ამისა, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგისტრაციის სამსახურის მიერ გაცემული განცხადება იმის თაობაზე, რომ ხსენებული იურიდიული პირის მიერ მოთხოვნილია ქვეიჯარის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე (უძრავი ნივთის მისამართია ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73). ხელმძღვანელობის განმარტებით, საუბარია უნივერსიტეტის შენობაში მდებარე 70 კვ.მ ფართზე, სადაც განთავსებულია სტომატოლოგიური კლინიკა და მას უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო მიზნებისთვის.

ასევე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა 2012 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სს - „აქატმა“ (გამქირავებელი) შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (დამქირავებელი) მიაქირავა ქ. თბილისში ჩარგლის ქ. №73 -ში არსებული შენობის №1 შენობა-ნაგებობის მეოთხე სართულზე არსებული 250 კვ.მ ფართი. ამასთანავე, წარმოდგენილი იქნა 2012 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გამქირავებელმა - შპს - „სალ-კონტაქტმა“ დამქირავებელს შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს მიაქირავა ქ. თბილისში ჩარგლის ქ. №73 - ში არსებული შენობის №1 შენობა-ნაგებობაში მეოთხე სართულზე მდებარე 152 კვ.მ ფართი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განმარტებით, ხსენებული ხელშეკრულებები წარდგენილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაციისთვის.

აღნიშნულ ფართებში დაწყებულია სარემონტო სამუშაოები, რომელთა დასრულება დაგეგმილია ამა წლის 10 სექტემბრისთვის (უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს იწყებს 10 სექტემბერს).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარმოდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. თავმჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის შემოწმება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ამონაწერის თანახმად, დასტურდებოდა 7001 კვ.მ. ფართის ფლობის ფაქტი, საიდანაც, ექსპერტთა დასკვაზე დაყრდნობით სასწავლო ფართი უნდა ყოფილიყო 4992,1 კვ.მ.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, საბჭოს მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას წინა ავტორიზაციის პირობებში განსაზღვრული ჰქონდა კონტიგენტი 2000 სტუდენტით. ამ ეტაპზე უნივერსიტეტში ირიცხებოდა 1617 სტუდენტი, ხოლო დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 2200-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას, მისი მატერიალური რესურსის (ფართი) გათვალისწინებით, არ შეეძლო 2200 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. ნანა ჭილაძის თქმით, მართალია აღარ არსებობს კანონმდებლობით დადგენილი ფორმულა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლასთან დაკავშირებით, მაგრამ საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო მაქსიმუმ 1666 სტუდენტით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს საკუთრებაში ჰქონდა შვიდსართულიანი შენობა, გააჩნდა საკმარისი კომპიუტერული ტექნიკა და ადამიანური რესურსი, ამასთან, მეცადინეოები მიმდინარეობდა ორ ცვლაში, რაც ასევე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, აღნიშნა რომ ყველა ზემოხსენებული გარემოება ადეკვატურ ფარგლებში ანგარიშგასაწევია - ისე, რომ არ დაირღვეს სამართლიანობის პრინციპი, რომელსაც თავის მხრივ, ფორმულის არაარსებობის პირობებში აბალანსებდა საბჭოს პრაქტიკა. თუმცა, ცენტრის წარმომადგენელმა დასძინა, რომ საბჭო არ არის შებოჰილი ცენტრის პოზიციით, ვინაიდან, ავტორიზაციის დებულების თანახმად, სწორედ ავტორიზაციის საბჭოა უფლებამოსილი დაეთანხმოს საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნას ან შეამციროს მის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა/სტუდენტთა ადგილების რაოდენობა. ამასთან, ავტორიზაციის საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცენტრის პოზიცია ცალსახად მართებულია და საბჭო ვერ დაუშვებს საკუთარი დამკვიდრებული პრაქტიკიდან ამგვარ გადახვევას. თუმცა, შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადება და საბჭო შეჯერდეს ორივე მხარისათვის მისაღებ ციფრზე.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ საბჭოს შეეძლო გაეთვალისწინებინდა უნივერსიტეტის პროგრამების თავისებურება (ორ ცვლაში

მეცადინეობების შესაძლებლობა) და განესაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა კვლავ 2000-ით, მითუფრო რომ მსგავსი ციფრი ერთხელ უკვე იქნა სამართლიანად მიჩნეული კონკრეტული სასწავლებლის მიმართ და ფაქტია, რომ დაწესებულებას შესწევდა უნარი შეექმნა ამ რაოდენობის სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო.

საბჭომ გაიზიარა ლალი ღოღელიანის მოსაზრება და მიიჩნია, რომ შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შეეძლო 2000 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201951637) 2012 წლის 19 ნოემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.

11. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბრის №447 დადგენილებით განხორციელებული სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციიდან გამომდინარე, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მიმდინარეობს, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებამონაცვლის, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უძრავი ქონების გადმოცემის საკითხის განხილვა.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩეული იყო 45 ასისტენტ-პროფესორი. პროფესორ-მასწავლებლების ერთიან რეესტრში გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ორი ასისტენტ-პროფესორი - ალაია მაია და ბაკარაძე ეკატერინე ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის მიზნებისთვის აკადემიურ პერსონალის რაოდენობაში ვერ ჩაეთვლება, რადგან აღნიშნული პირები რეესტრის მონაცემების თანახმად, დასაქმებულები არიან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი კავშირი ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებასთან ვერ დგინდება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

თავმჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს დაეზუსტებინა დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სასწავლო ფართი შეადგენდა 5997 კვ.მ.-ს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, საბჭოს მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს სოხუმში გააჩნდა ორი შენობა. რამოდენიმე დღის წინ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მათ საკუთრებაში გადმოეცათ შენობა-ნაგებობა, რომლის გათვალისწინებითაც დღეის მდგომარეობით უკვე თბილისში დაწესებულების საკუთრებაშია ასევე ორი შენობა (შვიდ- და რვასართულიანი). ამჟამად, უნივერსიტეტში ირიცხება 2668 სტუდენტი, ხოლო ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სურვილია სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 2871-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას, მისი მატერიალური რესურსისა და საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით არ შეეძლო 2871 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. თუმცა, საბჭოს წინა საკითხის მსგავსად შეეძლო ემსჯელა განსხვავებულ მიდგომაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ სექტემბრის თვეში იგეგმებოდა მასშტაბური არქეოლოგიური გათხრები ანაკლიის მახლობლად და სტუდენტებს არ დაჭირდებოდათ აუდიტორიები.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოცემული შემთხვევა ვერ იქნება პრეცედენტული ვერც ერთი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, ვინაიდან საქმე ეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და არსებობს მომეტებული საჯარო ინტერესი, რაც ობიექტურად ვერ იარსებებს ვერც ერთი სხვა დაწესებულების მიმართ. საბჭომ გაიზიარა თავმჯდომარის პოზიცია და მიიჩნია, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მომავალი განვითარებისა და გაზრდის პერსპექტივა, შესაბამისად, დაეთანხმა დაწესებულების შუამდგომლობას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2871-ით განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე

მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205224700) 2013 წლის 10 იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2871-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:39 საათზე.

დავით კახნიაშვილი
თავმჯდომარე

დ. კახნიაშვილი

გაიანე სიმონია
მდივანი

გ. სიმონია